

FACIO UT FACIAS!
ვაკეთებ, რომ უნდა გააკეთო!

კონფლიქტის

კონფლიქტის კონფლიქტის

AN ALTERNATIVE TO CONFLICT

№ 9-10

ივლისი - აგვისტო

1999 წლი



კონფლიქტისა და მოლაპარაკების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

კონფლიქტის მოგვარების სწავლობის პროგრამა საჭართველოში

ყოველთვიური გამოცემა

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) - არასამთავრობო კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაცია - რეგისტრირებულია 1994 წელს საქართველოში. ცენტრი დაარსდა ჯონ და ქეთრინ მაკარტურების ფონდის მიერ გაცემული გრანტით. ცენტრის კვლევის ობიექტია კონფლიქტების მიზებების, მათი ადრეული გამოვლენის, კონსტრუქციული მართვისა და მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობათა შესწავლა. საქართველოში კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამა ICCN-ის პროგრამაა.

ცენტრის დირექტორი: პროფესორი გიორგი ხუციშვილი.

1996-1997 წლებში საქართველოში კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამის ფარგლებში ქვეყნდებოდა ყოველთვიური ბიულეტენი “ალტერნატივა”, ხოლო ბიულეტენში გამოქვეყნებული რჩეული მასალები და სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა ინგლისურ ენაზე ცალკე კრებულად გამოიცა, სახელწოდებით - **“Understanding Conflict”**. 1998 წლიდან ბიულეტენის გამოცემა განახლდა ახალი სახელწოდებით “კონფლიქტის ალტერნატივა”. ახალი ბიულეტენი, განაგრძობს რა ტრადიციას მიაწოდოს მკითხველს ალტერნატიული აზრი, ასევე შეეცდება წარმოაჩინოს საზოგადოების დადებითი თუ უარყოფითი რეაქცია ნებისმიერი ალტერნატივის მიმართ.

გამოცემა ფინანსდება ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს გრანტით

რედაქტორი: დეა ღადუა

მისამართი:

ივ. მაჩაბლის 5,1 სართული
თბილისი 380007, საქართველო

საფოსტო მისამართი:

საფოსტო ყუთი 38
თბილისი 380079, საქართველო

ტელეფონი: 99-99-87, 93-91-78

ფაქსი: 93-91-78

E-mail: confpro@access.sanet.ge

Homepage:

<http://iccn.tripod.com>

© 1999 by ICCN. All rights reserved

უ ნ ა ა რ ს ტ :

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზოგიერთი ფსიქოლოგიური ფაქტორი	გვ. 3
აფრიკა	გვ. 5
გერმანია, რომ იყოთ წარმატებული ადამიანი?	გვ. 7
მოსმენის ხელოვნება	გვ. 9
პარტიის დუუთურ-კინგი	გვ. 12
უკრაინისტების პროფესიონალური კოდიკა	გვ. 15
პეტერბურგის კონფერენცია	გვ. 17
პროგრამის ქრონიკა	გვ. 18
შეგიძლიათ თუ არა მოსმენა	გვ. 22

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზოგიერთი ფსიქოლოგიური ფაქტორი

გაგა ნიუარაძე

ნებისმიერ კონფლიქტში სულ ცოტა ორი მხარე მონაწილეობს. იშვიათად ზდება, როდესაც ერთი მხარე ცამდე მართალია, მეორე კი აბსოლუტურად მტყუანი. როგორც წესი, მხარეებს თავისი „სუსტი წერტილები“ გააჩნიათ, ამასთან თითოეული მხარე გამაღებით ცდილობს მოწინააღმდეგის ცოდვების მხილებას და საკუთარის მიჩქმალვას. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტი ან ქრონიკულ სახეს იძნეს, ან მხარეებს ძალის გამოყენებისაკენ უბიძგებს. გაცილებით კონსტრუქციულია ვითარება, როდესაც მხარეები შედარებით ობიექტურად აფასებენ ერთმანეთს, არ უშინდებიან საკუთარი შეცდომების აღიარებას და ამ გზით ცდილობენ კონფლიქტის მშვიდობიანად, ყველა მონაწილისათვის მისაღები ფორმით გადაწყვეტას.

ზემოთქმული სამართლიანია ნებისმიერი კონფლიქტისათვის, მათ შორის მათვის, ასეთი მძიმე დაღი რომ დაასვეს ბოლო წლების საქართველოს ცხოვრებას. ჩვენს ტერიტორიაზე მომხდარ კონფლიქტებს ბევრი ფაქტორი გააჩნიათ - პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული და ა.შ. ამ რიგში მნიშვნელოვან როლს ფსიქოლოგიური ფაქტორიც თამაშობს. იგულისხმება ურთიერთსტერეოტიპები, გრძნობები, ემოციები, რომლებიც საბოლოო ჯამში ამა თუ იმ მხარეს მტრული ქმედებებისაკენ უბიძგებენ. მოცემულ წერილში მე შევცდები შეძლებისძაგვარად წარმოვაჩინო ის სიღრმისეული ფსიქოლოგიური და კულტურული ფაქტორები, რომლებმაც სერიოზული როლი ითამაშეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაღვივებაში, ურთიერთუნდობლობისა და სიძულვილის, „მტრის ხატის“ ჩამოყალიბებაში.

ქართველები. სოციოლოგიაში არსებობს ცნება - ეთნოცენტრიზმი. იგი შემდეგში მდგომარეობს: ერთი კულტურის წარმომადგენლები,

როგორც წესი, სხვა ერის წარმომადგენლებს აფასებენ თავის გარემოში მიღებული ღირებულებებითა და კრიტერიუმებით. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როდესაც რაიმე ხალხის რაციონში შედის რაღაც პროდუქტი, რომელიც სხვა ხალხებში არ იჭმევა ან სულაც ზიზღს იწვევს; ამან შეიძლება მეზობელი ხალხის მიმართ დამცინავი ზედმეტსახელი წარმოშვას (მაგალითად, ფრანგებს სხვა ევროპელები, დამცირების მიზნით, „ბაყაყიჭამიებს“ ეძახიან) და საკუთარი ხალხის უპირატესობის უდავო საბუთად ჩაითვალოს. კულტურებს შორის განსხვავებები, რასაკვირველია, სხვა სფეროებშიც უამრავია, და თითოეული შეიძლება ეთნოცენტრიზმის საფუძველი გახდეს. საბოლოო ჯამში, ეთნოცენტრიზმი შეიძლება ჩაითვალოს დაცვით მექანიზმად, რომლის მეშვეობითაც ცალკეული პიროვნება თვითშეფასებას იმაღლებს ერთ-ერთი მთავარი იდენტიფიკატორის - საკუთარი ეროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებების გაიღეალებისა და მეზობლების ანალოგიური ნიშნების დაკინების გზით.

ეთნოცენტრიზმი მეტ-ნაკლებად ყველა ეროვნებისათვისაა დამახასიათებელი, თუმცა სხვადასხვა ფორმით. ზოგი ხალხები ყველა ძალას ხმარობენ, რათა საკუთარი სიძველე ან რაღაცაში პრიორიტეტი დაამტკიცოს, ზოგი მსოფლიოს გამოჩენილ პიროვნებების ნათესაობაში თანამემამულებს ეძებენ, ზოგსაც საკუთარი უნიკალურობისა და „სიდიადის“ გრძნობა სხვა ერების მიმართ სიძულვილში გადაეზრდება, თუნდაც გარკვეული პერიოდით.

ეთნოცენტრიზმი ქართველებშიც ფრიად მკვეთრადაა გამოხატული, ამასთან თავისებური, თუმცა არა უნიკალური ფორმით. ქართველმა შეიძლება მეტ-ნაკლებად ადვილად აღიაროს, რომ სხვა ერი (ეს განსაკუთრებით სამართლიანია

დიდი, ძლიერი ერების მიმართ) მასზე ძლიერია, მდიდარია, შრომისმოყვარე, შესაძლოა ჭკვიანიც, მაგრამ მაინც, ყველა მათგანს აკლია რაღაც მთავარი, ცხოვრების გაგების „მუღამი“ (რომლის სიტყვებით გადმოცემა ჭირს), რაც მათ იმთავითვე უფრო დაბალ საფეხურზე აყენებს და ნებისმიერი უცხოელის მიმართ არააგრესიულ, მეტიც, კეთილგანწყობილ, მაგრამ ერთგვარად ირონიულ-ქედმაღლურ დამოკიდებულებას განსაზღვრავს. ამ მხრივ ქართული ეთნოცენტრიზმი გარკვეულწილად ინგლისურს წააგავს, მიუხედავად ორი კულტურის ძალიან დიდი განსხვავებისა, - ინგლისელები სიმპათიური უცხოელის შესახებ ამბობენ ხოლმე: „რა მისი ბრალია, რომ ინგლისელად არ დაიბადა...“.

უნდა ითქვას, რომ ქართულმა ეთნოცენტრიზმა ისტორიულად გარკვეული დადებითი ფუნქცია შეასრულა - ერთის მხრივ, ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებას შეუწყო ხელი, ხოლო მეორეს მხრივ, ძლიერ ერებში (თურქებში, საარსელებში, რუსებში) განსაზღვრა ამბივალენტური (ამბივალენტურია გრძნობა, რომელიც როგორც დადებითი ისე უარყოფით კომპონენტებს შეიცავს), მაგრამ მაინც პატივისცემის გრძნობა ჩვენს მიმართ (ამგვარ ფენომენს ვ. ტერნერი „სუსტის ძალას“ უწოდებს).

ქართული თავდაცვითი ქედმაღლობა ვლინდება არა მარტო ძლიერი, არამედ მცირერიცხოვანი, სუსტი ერების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას და აქ ჩანს უკვე მისი უარყოფითი მხარე. თუკი მრავალრიცხოვანი ერის წარმომადგენელისათვის ამგვარი დამოკიდებულება არ შეიცავს მუქარას მისი ეროვნული იდენტიფიკაციისა და თვითშეფასებისათვის, მცირე ერის წარმომადგენლისათვის საქმე საწინააღმდეგოდაა: დომინანტობის, თუნდაც არააგრესიულის დემონსტრირება პირდაპირ ემუქარება მის იდენტიფიკაციას, რაც შეიძლება ჯერ გაღიზიანებაში გამოიხატოს, ხოლო შემდეგ, დაინტერესებული ძალების მიერ წარმართული პროპაგანდის შედეგად, სიძულვილში გადაიზარდოს. ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ამგვარი განვითარება არაა აუცილებელი - ბევრი მაგალითია იმისა, რომ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები, მიუხედავად ქართული

ეთნოცენტრიზმისა, მშვენივრად არიან ჩვენდამი განწყობილნი. მაგრამ აფხაზებთან ურთიერთობა სწორედ აღწერილი სცენარით წარიმართა. თუ რატომ, ამის გარკვევისათვის აფხაზების „ფსიქოლოგიური სტატუსის“ ანალიზს შევ-ეცდები.

აფხაზები. საბჭოთა კავშირმა გამოაცხადა რა თავი „ყველაზე პროგრესულ“ სახელმწიფო წარმონაქმნად მსოფლიოში, ამით სერიოზული ვალდებულებები იყისრა. ეროვნულ სფეროში ეს გულისხმობა, რომ სსრკ-ში შემავალი ყველა ეთნიკური ჯგუფი ერთნაირად „სოციალისტური“ და „პროგრესული“ უნდა ყოფილიყო, მიუხედებულ იმისა, რომ ეს ჯგუფები განვითარების ძალიან განსხვავებულ დონეებზე იმყოფებოდნენ. ასე დაიწყო ცილიზაციის ელემენტების (სახელმწიფო სტრუქტურების, განათლების და ჯანდაცვის სისტემების, წარმოების და სხვ.) დანერგვა მთელი სახელმწიფოს მასშტაბით, მათ შორის პრეინდუსტრიულ სტადიაზე მყოფ კულტურებში. ასე წარიმართა ბევრი პატრიარქალური საზოგადოების „ცივილიზაციასთან ზიარება“. მაგრამ ეს იყო რუსულ-საბჭოთა ცივილიზაცია, რომლის ბევრი ელემენტი, რომელსაც არ ჰქონდა რა ეკონომიკური საფუძველი, ძირითადად დეკლარაციულ, „თვალში ნაცრის შესაყრელ“ ფუნქციას ასრულებდა. ერთბაშად „მსოფლიოს ავანგარდში“ მოხვედრილი ხალხებისათვის ეს იყო ცივილიზაციის ერთადერთი არსებული ფორმა.

ასე მოხდა აფხაზებისათვისაც. პლუს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: აფხაზეთში გაშენდა საბჭოთა კალიბრაზე ფეშენებელური საკურორტო ზონა; აქ ჩამოსვლა ოცნებად იყო ქცეული ნებისმიერი საბჭოთა ადამიანისათვის, მათ შორის „ცივილიზატორი“ ერის - რუსების ელიტისათვის. ყოველივე ამის შედეგად აფხაზებში მოხდა ეთნიკური თვითშეფასების არააღექვატური ამაღლება და თანდათან გაირკვა, რომ ერთადერთი, რაც „დიდ აფხაზ ხალხს“ ხელს უშლის კუთვნილი სტატუსს მოპოვებაში, ესაა ქართველები და საქართველო. ჯერ ერთი, აფხაზეთში მცხოვრები ქართული უმრავლესობა აფხაზებს ძლიერ კონკურენციას უწევდა ტურისტების „ექსპლუატაციაში“; მეორე სამ-

წუხარო ფაქტი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ადმინისტრაციულად აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, მაშინ როდესაც აფხაზურ შეგნებაში ქართველები და აფხაზები, რუსეთთან მიმართებაში, სულ ცოტა, ტოლდიდ ერთეულებს შეადგენდნენ. ეს, რა თქმა უნდა, იღუზია იყო. არსებობს ასეთი ცნება - კულტურის კომპლექსურობა; რაც უფრო მეტი სოციალური ჯგუფი, ინსტიტუცია, სპეციალობა, განათლების დონე, აზრთა სხვადასხვაობა (აფხაზეთში, ვთქვათ, დისიდენტური აზრის უბრალოდ გაჩენაც კი წარმოუდგენელი იყო) და ა.შ. არსებობს კულტურაში, მით უფრო კომპლექსურია იგი. ამ ასპექტში აფხაზებსა და ქართველებს შორის დაახლოებით ისეთივე თანაფარდობაა, როგორც ქართველებსა და რუსებს შორის.

ამ გარემოების მიჩქმალვა არცთუ ადვილი იყო, მაგრამ აფხაზურმა პროპაგანდამ, რა თქმა უნდა, რუსეთის მხარდაჭერით და ქართველების წაყრუებით, ეს წარმატებით მოახერხა. შეიქმნა ლეგენდა - ყოველი ქართველის ბავშვობის ოცნებაა აფხაზების დედა-ბუდიანად ამოწყვეტა (აქ პროექციის მექანიზმი მოქმედებდა; პროექცია ესაა საკუთარი ზრახვების სხვისათვის მიწერა; ამ შემთხვევაში ქართველებს მიაწერდნენ იმას, რასაც მათვე „უსურვებდნენ“); ამ ბნელი ზრახ-

ვის პრაქტიკულ რეალიზატორებად გამოაცხადეს სტალინი და ბერია (არავის გაჩენია კითხვა, თუ რატომ არ მიმართეს ამ მოღვაწეებმა იმ ზომებს, რომლებიც უყოფმანოდ გამოიყენეს ყირიმელი თათრების, ჩეჩნების, მაჰმადიანი მესხების და სხვათა მიმართ); გამოჩნდა ვიდაც რუსი, რომელმაც რაღაც ძეველი პიქტოგრამები აფხაზურად „წაიკითხა“ (რითაც მრავალი წლით მოიგვარა ზაფხულში დასვენების პრობლემა)... ყველა ამ და უამრავ სხვა რაიმეს დაემატა ცნობილი პოლიტიკური მოვლენები და მოხდა ის, რაც მოხდა...).

დღეს აფხაზეთი საბჭოთა წყობისა და მენტალიტეტის ერთგვარ რეზერვაციას წარმოადგენს - გამარჯვებით მოგვრილი მუხტითა და „ჩვენ“ გრძნობით, მტრის ხატის გაუთავებელი კულტივირებითა და ყველა უბედურების ამ მტრზე გადაბრალებით, ინფორმაციაზე და საზღვარგარეთ გასვლაზე მკაცრი კონტროლით. და შიშით. ამგვარი „თაიგულის“ დაშლა საკმაოდ ძნელი, თუმცა, როგორც ვიცით, შესაძლებელია. შესაძლებელია მიზანდასახული პოლიტიკით, ეკონომიკური წინსვლით და იმის რეალური დემონსტრირებით, რომ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა აფხაზეთისათვის საუკეთესო გამოსავალია, თუ ერთადერთი არა.

აგრესია

დალი ბერებაშვილი

რა არის აგრესია და რატომ არის ადამიანი აგრესიული? რატომ არის ზოგი უფრო აგრესიული, ზოგი კი ნაკლებად? თანდაყოლილია ეს თვისება თუ შეძენილი? – აი, კითხვები, რომლებიც, ალბათ ყველასათვის საინტერესოა და რომლებზე პასუხის გაცემასაც შევეცდებით

(რამდენადაც ეს შესაძლებელია მცირე წერილის ფარგლებში).

ფსიქოლოგები იკვლევდნენ აგრესიულობის შეძენილობისა თუ თანდაყოლილობის საკითხს, სხვა სიტყვებით, იმას, ინსტინქტურია იგი თუ დასწავლილი. ეს კვლევა ცხოველებ-

ზე ჩატარდა. ექსპერიმენტში, ლაბორატორიულ ვირთხას, რომელიც სრულიად მშვიდობიანი იყო (არც თავად მოუკლავს ვინმე და არც უნახავს, რომ სხვა ცხოველს მოეკლას) თავთან ერთად გალიაში ამყოფებდნენ. ვირთხა მას არაფერს ერჩოდა. მაგრამ, როგორც კი ვირთხას ელექტროდენით გაულიზიანეს თავის ტვინის შესაბამისი უბანი, იგი მაშინვე თავს დაესხა თავგვს და მოკლა კიდევაც ვირთხებისთვის დამახასიათებელი წესით (კისერზე ძლიერი კბენით). მასში აგრესიული ინსტინქტური რეაქცია გამოვლინდა და ამას არავთარი დასწავლა არ დასჭირვებია.

უფრო მაღალგანვითარებულ ცხოველებთან საქმე ასე მარტივად აღარ არის: მაიმუნებს იგივე ტვინის უბნების ელექტროგადიზიანებისას აგრესიული რეაქცია (თავდასხმა გალიაში მყოფ მეორე ცხოველზე) გამოვლინდათ იმის მიხედვით, თუ რა რანგს ატარებდა ჯგუფში მოცემული ცხოველი — მაღალი რანგის ცხოველები ავლენდნენ აგრესიას, დაბალი რანგის ცხოველები კი, პირიქით — ელექტროგადიზიანებისას მორჩილების რეაქციას (განრთხმას) ავლენდნენ. მაშასადამე, აქ უკვე ელექტრო-შოკით პროვოკირებული ინსტინქტური რეაქცია სოციალურ კონტროლს ექვემდებარება.

მით უფრო უნდა ექვემდებარებოდეს სოციალურ კონტროლს აგრესიული რეაქციები ადამიანთან.

მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, აქვს თუ არა ინსტინქტური, თანდაყოლილი აგრესიულობა ადამიანს? ნაწილობრივ ამ საკითხს აშუქებს გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ მამაკაცური ჰორმონის — ტესტოსტერონის — მაღალი შემცველობა ორგანიზმში განაპირობებს უფრო მაღალ აგრესიულობას: კაცები, რომელთაც ნორმაზე მეტი ტესტოსტერონი ჰქონდათ, სხვებთან შედარებით აშკარად გამოირჩეოდნენ მეტი აგრესიულობით.

მეორეს მხრივ, გარემოს, კერძოდ გარემოს, რომელშიაც ბავშვი იზრდება, (დასწავლას, მიბაძვას), აგრესი დიდი მნიშვნელობა აქვს აგრესიულობის ჩამოყალიბებაში. ერთ-ერთ ექსპერიმენტში იკვლევდნენ ცხრა წლის ბიჭების აგრესიულობას. აქ აღნუსხავდნენ, თუ რამდენ აგრესიულ მულტფილმს უყურებენ ბავშვები. იმ ბავშვებს შორის, ვინც მეტ აგრესიულ მულტ-

ფილმს უყურებდა და იმათ შორის, ვინც ნაკლებად აგრესიულ მულტფილმებს უყურებდა ხოლმე, დიდი ქცევითი განსხვავება არ გამოვლენილა. მაგრამ საინტერესოა, რომ ათი წლის შემდეგ იგივე ცდისპირებზე — ამჯამად უკვე ცხრამეტი წლის ახალგაზრდებზე — ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოიავლინა განსხვავება მათი ქცევის წესებში: ბიჭები, რომლებიც ბავშვობაში აგრესიულ მულტფილმებს უყურებდნენ, უფრო აგრესიულები აღმოჩნდნენ თავის თანატოლებთან შედარებით.

საინტერესოა, აგრესი, მონაცემები, მიღებული ციხეებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად. გამოკითხეს ადამიანის წინააღმდეგ ძალადობის ჩამდენი (მკვლელები, მოძალადეები) პირები. გამოკითხულთა თითქმის 90 პროცენტმა აღნიშნა, რომ ისინი ბავშვობაში აწვალებდნენ ცხოველებს. მაშასადამე, მათ, გარკვეულწილად, “ივარჯიშეს” ბავშვობაში, სანამ თავის “საქმიანობას” მიჰყოფდნენ ხელს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აგრესიულობა ნაწილობრივ თანდაყოლილია, მაგრამ აგრესიული ქცევის ჩამოყალიბებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვობაში შეძენილ ჩვევას, სოციალურ გარემოს რომელშიც იზრდება ბავშვი.



გსურთ, რომ იყოთ წარმატებული ადამი-

თინა ასათიანი

ადამიანის წარმატებები, ყოველდღიური და პროფესიული, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მას ურთიერთობის დამყარება სხვა ადამიანებთან და ამ ურთიერთობის ეფექტურად წარმართვა. აბა, დავუკვირდეთ საკუთარ თავს – რამდენად კარგად და უპრობლემოდ შეგვიძლია სხვისი მოსმენა და გაგება; რამდენად წარმატებით ვახერხებთ გავაგებინოთ სხვას ის და ისე, რაც და როგორც გვსურს; და საერთოდ, რამდენად თავისუფლად ვმოქმედებთ ისეთ როგორც პროცესში, როგორიცაა ადამიანებთან ურთიერთობა – კომუნიკაცია.

ზოგიერთ ადამიანს ეს უნარები ღმერთისგან აქვს მინიჭებული. თუ ასეა – ძალიან კარგი. მაგრამ, თუკი თქვენი პოტენციური მონაცემები ამ მიმართულებით არასაკმარისადაა რეალიზებული, ან გსურთ გახდეთ უფრო კომპეტენტური ამ სფეროში, იქნებ სცადოთ და უკუთ გაურკვეთ კიდევაც, რადგან უდაოა, რომ ეს ცოდნა ნებისმიერი სახის ურთიერთობებში გამოგადგებათ – მეზობლებთან, მეგობრებთან, უფროსთან, კლიენტთან, მომხმარებელთან და ა.შ. – თავიდან აგაცილებთ მრავალ პრობლემასა და უსიამოვნო ემოციას.

რას წარმოადგენს ადამიანის ურთიერთობა (კომუნიკაცია) სხვა ადამიანებთან?

ფაქტურად, როდესაც ადამიანი ახორციელებს გარკვეულ ქცევას, სხვა (ან სხვები) აღიქვამენ ამ ქცევას და იძლევიან საპასუხო რეაქციას. სხვების საპასუხო რეაქციები ადამიანის ერთი და იგივე ქცევაზე ხშირად განსხვავებულია, რადგან თავად ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. შესაძლოა, თქვენს რაიმე ქცევაზე რეაქცია უარყოფითი იყოს, მაგრამ ისეც შეიძლება მოხდეს, რომ თქვენ ეს მოგეჩვენათ, უფრო სწორად, ასე აღიქვით. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ყოველ ადამიანს გააჩნია სამყაროს მოსეული აღქმა – მისი წარსული გამოცდილების,

კულტურის, განწყობის შესატყვისი სუბიექტური რეალობა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ როგორც წესი, მოვლენას ადამიანები თავად ანიჭებენ მნიშვნელობას, იქნებ ღირდეს, რომ დავფიქრდეთ ამაზე და თუ ჩავთვლით, რომ სხვისი უარყოფითი რეაქცია ჩვენი გარკვეული ქცევითა გამოწვეული, ალბათ იმის განსაზღვრასაც შევძლებთ, თუ რა მიმართულებით შევცალოთ იგი, ხოლო თუ ეჭვი გაგვიჩნდა იმის თაობაზე, რომ ეს ჩვენი აღქმის პრობლემებია, უნდა შევცალოთ სხვისი რეაქციები და ქცევები შესატყვისად გავიგოთ, დავამყაროთ ადამიანებთან სწორი ურთიერთობები.

მაშასადამე, ერთის მხრივ, მნიშვნელოვნია ჩვენი ქცევა – მისი აგება ისე, რომ ის გამოხატავდეს სწორედ იმას, რაც ჩვენ გვინდა, რომ გამოხატოს, ხოლო, მეორეს მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვნია სხვისი გაგება, ანუ ის, რომ ზედმიწევნით ზუსტად გავიგოთ, თუ რას გვეუბნებიან და როგორი ემოციით.

ურთიერთობისას მნიშვნელობა აქვს ყველაფერს, მაგალითად იმას, თუ:

როგორ გამოიყერებით – თქვენს ჩაცმულობასა და ვარცხნილობას, ჰიგიენურ მდგომარეობას, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის რაგარობას და ა.შ. რადგან ყველას გვაქვს გარკვეული სტერეოტიპები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოიყერებოდეს ამა თუ იმ პროფესიის, განათლების, სოციალური წარმოშობის და ადამიანი.

როგორ მოქმედებთ – თქვენს ქცევას, რეაქციებს სხვადასხვა სიტუაციებში სხვადასხვა ადამიანების მიმართ, თქვენს ჩვევებს, მანერებს და ა.შ., რადგან ყოველივე ეს ქმნის ურთიერთობის თქვენულ სტილს.

როგორ საუბრობთ – რას ამბობთ და როგორ ამბობთ, თქვენი ხმის ტემპრს და საუბრის

მანერას. ყოველივე ეს დიდად მოქმედებს სხვების მიერ თქვენი ნათქვამის შესატყვის აღქმასა და გაგებაზე.

როგორ წერთ – ნებისმიერ თქვენს წერილობით ნაშრომს: წერილებს, შენიშვნებს, საქმიან მიმოწერას, მოხსენებას, სტატიას. რადგან ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ადამიანის გაგებისა თუ გაცნობის. ფაქტიურად, ეს არის დოკუმენტი, რომლის რამდენიმეჯერ გადაკითხვაც კი შეიძლება.

ის, თუ როგორ ვწერთ და ვსაუბრობთ ურთიერთობისას მოქმედებს ჩვენს წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე საქმიან და პირად ურთიერთობებში.

ფაქტიურად, ჩვენ ყოველდღიურად, უფრო მეტიც, ყოველ წამს (მაშინაც, როდესაც დიად არ ვურთიერთობთ) ამა თუ იმ სახით ჩართულები ვართ ურთიერთობებში სხვადასხვა ადამიანებთან. ვსაუბრობთ ან ვუსმენთ; ვკითხულობთ ან ვწერთ; ვუყურებთ ან გვიყურებენ; ვმოქმედებთ ან ვრეაგირებთ სხვის მოქმედებაზე; ვაგზავნით შეტყობინებას ან ვიღებთ – ჩართულები ვართ კომუნიკაციის რთულ ჯაჭვში. იქნებ, თითოეული ჩვენგანი, რომ ცოტა უფრო მეტად აქცევდეს ყურადღებას ურთიერთობის ნორმებსა თუ კანონებს, უკეთ ფლობდეს ელემენტარულ ხერხებს, რომ შეგვეძლოს ერთმანეთისადმი მეტი კეთილგანწყობისა და ობიექტურობის (სტერეოტიპული მიღომის საპირისპირო) გამოჩენა, გაცილებით ნაკლები პრობლემები იქნებოდა არა მხოლოდ ჩვენს გარშემო, არამედ საერთოდ სამყაროში.

წარმოიდგინეთ სიტუაცია – ადამიანი უთანხმდება კოლეგას საქმიანი შეხვედრის თაობაზე, რომელიც ორ საათზე უნდა შედგეს მათ ოფისში. კოლეგა არ მოდის და არც რეკავს. ასეთ სიტუაციაში მომლოდინე ადამიანს აქვს სპონტანური რეაქცია – იგი ბრაზდება, ახდენს ამ ამბის თავისეულ ინტერპრეტაციას. მაგალითად, ფიქრობს, რომ იგი არაფრად ჩააგდეს, ანგარიში არ გაუწიეს, კოლეგა უპასუხისმგებლო, ან არასანდოა და სხვ. შესაძლოა, უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდეს კოლეგის მიმართ და ყოველივე ამას კონფლიქტი მოჰყევს. მაგრამ ხომ შეიძლება, რომ იმ ადამიანს სინამდვილეში

რაღაც სერიოზული მიზეზი ჰქონდა და ვერ შესძლო მოსვლა. მომლოდინეს, შესაძლოა, სულ სხვაგვარი რეაქცია ჰქონოდა, რომ სცოდნოდა ამ სერიოზული მიზეზის შესახებ, მაგრამ მისთვის არავის არაფერი უთქვამს და შესაბამისად ათასი უსიამოვნო აზრი და ემოცია დაუუფლა.

კომუნიკაცია – ეს არის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით ერთი ადამიანის (ან ადამიანთა ჯგუფის) მიერ მეორე ადამიანისათვის (ან ადამიანთა ჯგუფისათვის) ინფორმაციის გადაცემის პროცესი. ეს ინფორმაცია (შეტყობინება) შეიცავს ერთის მხრივ, იდეებსა და აზრებს (შინაარსს) და მეორეს მხრივ, გრძნობებსა და ემოციებს (დამოკიდებულებას). ყოველივე ეს გარდატყდება ჯერ მოსაუბრის, ხოლო შემდეგ მსმენელის პიროვნულ პრიზმაში. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციამ, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად დაუმახინჯებლად გაიაროს კომუნიკაციის რთული ჯაჭვი.

რა დაგვეხმარება ამაში? უპირველეს ყოვლისა ის, რომ:

ვიცნობდეთ “ადრესატს”. რაღა თქმა უნდა, ურთიერთობისას ჩვენ წინასწარ გვაქვს ხოლმე წარმოდგენა იმ ადამიანზე (ან ადამიანების ჯგუფზე) ვისაც გვინდა რაიმე შევატყობინოთ. მნიშვნელოვანია, რომ “ადრესატის” თაობაზე ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია მეტ-ნაკლებად სრული იყოს.

ერთ ცნობილ ამერიკულ კომპანიას, რომელიც საკვებ პროდუქტებს აწარმოებდა, გამოუშვია პროდუქცია, რომელსაც წინასწარი მარკეტინგული გამოკვლევების თანახმად, მომზმარებლის დიდი მოწონებით უნდა ესარგებლა. პროდუქცია, მისაღები ფასის, მაღალი ხარისხისა და მიმზიდველი შეფუთვის მიუხედავად არ იყიდებოდა. რაში იყო საქმე? აღმოჩნდა, რომ პრობლემები კოლოფის ფერის გამო შეიქმნა. ამ ქვეყანაში (ეს იყო აზიის ერთ-ერთი ქვეყანა) მოსახლეობას უსიამოვნო ასოციაციები ჰქონდა დაკავშირებული ამ ფერთან. ხალხს ამ კოლოფისთვის ხელის შეხებაც კი არ სიამოვნებდა, არათუ კოლოფში მოთავსებული საკვების მირთმევა.

ვისაუბროთ ერთ ენაზე. ყველასთვის ცხადია, რომ თუ გსურთ ესაუბროთ უცხოელს,

მისი ენა უნდა იცოდეთ, ან იპოვოთ თარჯიმანი. მაგრამ ის, რომ ერთ ენაშიც არსებობს მნიშვნელოვანი ენობრივი განსხვავებები – უარგონი, სლენგი, პროფესიული, ასაკობრივი, რეგიონალური და სხვ. ხშირად ყურადღების გარეთ გვრჩება.

ალბათ, მიგიქცევიათ ყურადღება ერთი სპეციალობის ადამიანების საუბრისათვის (მაგ. ფსიქოლოგების, ან იურისტების), შეიძლება ვერაფერიც ვერ გაიგოთ.


გავითვალისწინოთ ადრესატის ონტერესები, მიზნები, მოლოდინები.

ყოველგვარი მცდელობა შესაძლოა უშედეგო იყოს, თუ არ გაითვალისწინებთ იმ ადამიანის მიზნებსა და ონტერესებს, რომელსაც ესაუბრებით. ალბათ, ყველა აღმოვჩენილვართ ისეთ სიტუაციაში, როდესაც ვესაუბრებით ადამიანს (ან ადამიანთა ჯგუფს) და ის კი არ გვისმენს, ან შესაძლოა ამთქნარებს კიდევაც, რადგან ჩვენი საუბარი მისთვის უინტერესო და მოსაწყენია. ადამიანს, რომელთანაც ჩვენ ვცდილობთ ურთიერთობის დამყარებას, უნდა აინტერესებდეს საუბრის საგანი. ამის მიღწევა შესაძლებელია თუ გავითვალისწინებთ მის მიზნებს, მოლოდინებს, ფასეულობებს და ა.შ.

სასურველია, რომ გრძნობდეთ თუ რა აინტერესებს სინამდვილეში თქვენთან მოსაუბრე ადამიანს. თუ გსურთ, რომ მან მიიღოს ის

ინფორმაცია, რომელსაც აწვდით, უმჯობესია დაფიქრდეთ იმაზე, თუ რა ფორმით მიაწოდოთ ეს ინფორმაცია, რათა იგი დაინტერესდეს.

და ბოლოს, ყველაფერი, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი გათვალისწინებულია მათვის, ვინც აპირებს კომუნიკაციის რთულ პროცესთან შეჭიდებასა და შესაძლო სირთულეების დაძლევას. ეს კი წარმატებისა და პრობლემური სიტუაციების ეფექტური მართვის საწინდარია.



მოსმენის ხელოვნება

მაია რაზმაძე

რას ნიშნავს მოსმენის ხელოვნება და ნუთუ მოსმენას ხელოვნება სჭირდება? მოსმენაზე ადვილი ხომ, თითქოს, არაფერია.

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ ურთიერთობისას უმეტეს დროს ადამიანები მოსმენაში ატარებენ. ხოლო ურთიერთობას ჩვენ (თუ არ ჩავთვლით ძილს) მთელი დროის 70%-ს ვუთმობთ. მაშასადამე, მოსმენა ცხოვრების უდიდეს ნაწილს იკავებს. საინტერესოა, თუ რამდენად ეფექტურად ვიყენებთ ამ დროს – რამდენად ეფექტურად ვუსმენთ. აღმოჩნდა, რომ

თურმე ჩვენ “ეფექტურად” მხოლოდ 25%-ით ვისმენთ. გასაგებია, რომ ეფექტური მოსმენის უნარ-ჩვევა ბევრად გაზრდის ჩვენს შესაძლებლობებს ურთიერთობებსა და საქმეში წარმატების მისაღწევად. მოსმენა უბრალოდ “ყურში რომ გესმის”, ის არ არის. მთავარია გაიგო რას გეუბნებიან. ეს კი არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც გვეჩვენება ხოლმე. გაგება გულისხმობს გარკვეულ დისციპლინას, ენერგიის დახარჯვას. ამ ჩვევის სწავლა სავსებით შესაძლებელია. თუ ჩვენ ეფექტურად (ყურადღებით) არ ვუსმენთ,

მაშინ შეიძლება იმ პრობლემებს წავაწყდეთ, რომელთა თავის არიდება სავსებით შესაძლებელი იყო: მოსაუბრის არასწორი გაგება, წყენა, არაზუსტად გაგებული ინსტრუქცია, მნიშვნელოვანი იფორმაციის დაკარგვა, გაღიზიანება და სხვა.

ეფექტური მოსმენის უნარი გვაძლევს საშუალებას განვმუხტოთ დაძაბული სიტუაცია, მოვუხსნათ მოსაუბრეს სტრესი და დაძაბულობა. იმ სიტუაციაში, როდესაც მოსაუბრეს ეძლევა საშუალება ბოლომდე გამოთქვას თავისი აზრი ან საყვედური და თქვენ იყენებთ ეფექტური მოსმენის ტექნიკას, საგრძნობლად უმჯობესდება ურთიერთობები და ზოგადი ატმოსფერო.

განვიხილოთ მაგალითი, როდესაც პარტნიორი დატვირთულია უარყოფითი ემოციებით და საჭიროებს განმუხტვას:

— მე მეჩვენება, რომ შენ რაღაც გაწუხებს ჩვენს საქმიან ურთიერთობებში — A.

— შენ წინა კვირას საკმაოდ დამამცირებელი ფრაზებით მომმართე — B.

იმის მაგივრად, რომ A დაცვით პოზიციაში ჩამდგარიყო, ყურადღებით მოუსმინა პარტნიორს და გაიზიარა მისი გრძნობები:

— კარგია, რომ მითხარი, ახლა კი მიგხვდი შენი განაწყენების მიზეზს. მე არ მინდოდა შენი დამცირება ან განაწყენება — A.

ამ სიტუაციაში პარტნიორს დაცვითი პოზიცია რომ დაეკავებინა (“მე სულაც არ მითქვამს შენთვის ისეთი რამ რაც შენ გაგანაწყენებდა”), საუბარი არაფრისმომტანი იქნებოდა და გაძლიერდებოდა უარყოფითი დამოკიდებულება.

მოსმენის “დაცვითი” მანერა ხდება მირითადი ბარიერი ეფექტური კომუნიკაციის და პრობლემების გადაწყვეტის დროს, რადგანაც მოიცავს არასასურველ წინააღმდეგობრივ ატ-მოსფეროს პარტნიორის აღქმის პროცესში და პირიქით, ყურადღებით მოსმენა ხელს უწყობს თანამშრომლობას და გულისხმობს, რომ ჩვენი თანამოსაუბრე არის ღირსეული და მას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. ასეთი დამოკიდებულება პარტნიორში დადგებით ემოციებს იწვევს. თუკი მოსაუბრე გრძნობს რომ თქვენ გულწრფელად გაინტერესებთ და აფასებთ

მის აზრებს და შეხედულებებს, თავის მხრივ, ისიც მეტი მონდომებით ეცდება გაიზიაროს თქვენი შეხედულებები, პოზიტიურად განეწყობა თქვენს მიმართ და მეტი ხალისით იურთიერთობის თქვენთან.

სხვისი მოსმენის უნარი გვაძლევს საშუალებას ურთიერთობიდან მივიღოთ მაქსი-



მალური ინფორმაცია ხოლო, საკუთარი თავის მოსმენა გვაძლევს საშუალებას კარგად გავერ-კვეთ ჩვენსავე ინტერესებში.

ინფორმაცია წარმოადგენს გარკვეულ ძალაუფლებას. პარტნიორი, რომელიც ფლობს ეფექტური მოსმენის ტექნიკას ახერხებს მოსმენილში დაიჭიროს ღირებული ინფორმაცია, ანუ იგი ფლობს მნიშვნელოვან იარაღს ურთიერთობების პროცესში.

ყოველივე ამის შემდეგ თქვენ ალბათ დარწმუნდით, რომ მოსმენის უნარი არის მნიშვნელოვანი. ამ უნარის განვითარება შესაძლებელია, თუმც მოითხოვს დროსა და მონდომებას. გთავაზობთ ერთ-ერთ მარტივ სავარჯიშოს:

5 წუთის განმავლობაში დაუგდეთ ყური ყველა ბერძნება და სიგნალს და შემდეგ ჩამოთვალეთ ისინი. ეს სავარჯიშო შეგიძლიათ გაიმეოროთ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში.

სავარჯიშო გაძლევთ საშუალებას გააცნობიეროთ თქვენი მოსმენისა და გაგების უნარი და ამავე დროს თუ რამდენად შეგიძლიათ მიზანდასახულად სმენის გავარჯიშება. საბოლოოდ თქვენ გააცნობიერებთ თუ რა დრო გეხარჯებათ “პასიურად” მოსმენაზე იმის მაგივრად, რომ ეფექტურად და სარგებლინად მიღლოთ ინფორმაცია მოსმენისას.

მოსმენას გააჩნია სხვადასხვა დონეები. ძირითადად გამოიყენება 3 დონე, რომელიც განისაზღვრება გარკვეული ქცევის ტიპებით. მკვეთრი გამიჯვნა ამ ტიპებს შორის არ არსებობს და სიტუაციის მიხედვით ვახორციელებთ მოსმენის ამა თუ იმ ტიპს.

პირველი დონე – მოსმენა - თანაგრძობა. ამ დონეზე მსმენელი მაქსიმალურად იკავებს თავს კომენტარებისაგან და მსჯელობისაგან, ცდილობს ჩადგეს მოსაუბრის მდგომარეობაში. ამ ტიპის მოსმენას ახასიათებს პატივისცემა მოსაუბრის მიმართ, ყურადღების კონცენტრაცია, მოსაუბრის სიტყვებზე, უესტებზე და მიმიკებზე, თანაგრძობა მოსაუბრის გრძნობებისა და აზრებისადმი და საკუთარის უგულვებელყოფა ამ კონკრეტულ სიტაციაში. ამ დორს მსმენელი სიტყვიერად, უესტებით და მიმიკებით აგრძნობინბს, რომ ის ჩართულია მოსმენის პროცესში. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მოსმენა, აქტიური პროცესია. ოღონდ ეს აქტიურობა იმაში კი არ გამოიხატება, რომ მოსაუბრეს ყოველ წუთს სიტყვა გავაწყვეტინოთ და ჩვენ ვიღებითა კორონაცია – მაშინ ხომ ვერც გავიგებთ, თუ რის თქმას ცდილობდა იგი.

მოსმენის უნარი ეს არის სხვა ადამიანის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და გრძნობების აღქმის უნარი, რომლის დროსაც თვით მსმენელი თავს იკავებს საკუთარი გრძნობების გამოვლენისგან, რითაც წაქეზებს მოლაპარაკეს საურთიერთოდ.


მეორე დონე – გვესმის, მაგრამ არ ვუსმენთ. მოსმენის ამ დონეზე მსმენელი ზედაპირულად ისმენს ინფორმაციას და არ ცდილობს ღრმად ჩასწერეს ნათქვამს. მსმენელს ესმის მოსაუბრის, მაგრამ არ ცდილობს ჩადგეს მის მდგომარეობაში. მოსმენის ამ დონეზე მსმენელი ემოციურად არ არის ჩართული ურთიერთობის პროცესში, არამედ მეტ ყურადღებას აქცევს შინაარს და ნათქვამის ლოგიკას. ამ ტიპის მოსმენა შეიძლება სახიფათო გახდეს, შესაძლებელია გამოიწვიოს გაუგებრობა, რადგან არ ითვალისწინებს სიტყვები მიღმა ნაგულისხმებ აზრს.

მესამე დონე – მოსმენა ყურადღების

პერიოდული გაფანტვით. ამ დორს მსმენელი თან გვისმენს და თან არ გვისმენს, ანუ ზოგადი წარმოდგენა უქმნება საუბრის შინაარსზე, მაგრამ ყურადღება ძირითადად გადატანილი აქვს საკუთარ აზრებზე, მოსაუბრეს უსმენს მხოლოდ იმისთვის, რომ მოძებნოს ხელსაყრელი მომენტი და თვითონ ჩაერთოს საუბარში. მესამე დორის მოსმენა ეს არის პასიური პროცესი მოსმენის თვალსაზრისით და ხასიათდება არაფრისმთქმელი, გაფანტული მზერით, მსმენელი დაინტერესებულია უფრო მეტად საკუთარი აზრების გამოთქმით, ვიდრე მოსმენით.

დღის განმავლობაში ჩვენ მოსმენის სხვადასხვა დონეს ვიყენებთ, მაგრამ, ალბათ უკეთესი იქნება, რომ გამოვიმუშაოთ მოსმენის პირველი დონისათვის დამახასიათებელი უნარჩვენები და როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, უკეთესი იქნებოდა ინფორმაციის “ეფექტურად” მოსმენის 25% გავზარდოთ მაქსიმალურად.

P. S. საინტერესოა გამოკითხვის შედეგები, რომელიც მიღიონერებს ჩაუტარეს. მათ ეკითხებოდნენ, თუ რა არის, მათი აზრით, მთავარი წარმატების მისაღწევად. პასუხი ასეთი იყო – პირველ რიგში, მოსმენის უნარი, მეორე, რომ ყველა საქმე თვითონ უნდა აკეთო.



არაძალადობისთვის წამებულნი

მარტინ ლუთერ-კინგი

დეა ღადუა

ცხოვრება რთული და წინააღმდეგობით აღსავსეა, ხშირად საოცრად სასტიკი და უსამართლო, ადამიანებიც ცდილობენ შეძლებისდაგვარად შეეწყონ და შეეგუონ მას, ასეა უმრავლესობა, მაგრამ არსებობენ ისეთნიც, რომელთაც არ აშინებთ სირთულეები და წინააღმდები, არ ეპუებიან არსებულ სინააღმდილეს და ილაშქრებენ უსამართლობის წინააღმდეგ, იბრძვიან სიცოცხლის ბოლო წვეთამდე; (ხშირად ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) სიკეთისა და სამართლიანობისათვის, იბრძვიან, მაგრამ არა იარაღითა და სისხლისღვრით, რამეთუ ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ მისივე მეთოდებით საფუძველშივე გამორიცხავს სიკეთეს, არამედ - ყველაზე ჰუმანური და დემოკრატიული გზით - არაძალადობით. . . არსებობენ ასეთი ადამიანები, რომელნიც ალამაზებენ კაცობრიობის სულს და მათ ისტორია არასდროს ივიწყებს.

მარტინ ლუთერ-კინგი სწორედ ასეთთა რიცხვს განეკუთვნება, ბაპტისტი პასტორი



და 1950-60 წლებში აშშ-ში ფერად - კანიანთა სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლი. მან მაჰათმა განდის ბრძოლის გზა აირჩია და უზარმაზარი წვლილი შეიტანა არაძალადობის ფილოსოფიის მიხედვით არ უთქამს, რომ თუკი სიმხდალე ძალადობის ერთადერთი ალტერნატივაა, მაშინ უმჯობესია იჩხუბო. მაგრამ როდესაც განდი ამ სიტყვებს ამბობდა, მას კან-

ადობის ფილოსოფიის მთელი თავისი (არცთუ ხანგრძლივი) ცხოვრების მანძილზე

პრაქტიკულად აზორციელებდა, თუმც თავად ხშირად ხდებოდა ძალადობის, უსამართლობის, დევნისა და აგრესის მსხვერპლი, სიცოცხლეც ხომ 39 წლის ლუთერ-კინგს მოძალადის მიერნასროლმა ტყვიამ მოუსწრაფა.

მარტინ ლუთერ-კინგი იბრძოდა რასობრივი სეგრეგაციისა და სამოქალაქო უფლებების შელახვის წინააღმდეგ. ადამიანი, რომელმაც არაძალადობრივი მეთოდით ბრძოლა შესთავაზა თეთრკანიანთა უსამართლობითა და დამცირებებით გადაღლილ და გამწარებულ შავკანიან მოსახლეობას; ალტერნატიული გზა გამარჯვების მოსაპოვებლად. გამარჯვება, კი, თეთრკანიანთა და შავკანიანთა თანაბარუფლებიანობაში მდგომარეობდა.

არაძალადობრივი ბრძოლის იდეას, პრაქტიკული ქმედების გარდა, მან მრავალი თეორიული ნაშრომი მიუძღვნა.

მაინც რას ნიშნავს მარტინ ლუთერ-კინგისათვის არაძალადობრივი წინააღმდეგობა? მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ წიგნში “გზა თავისუფლებისაკენ” ლუთერ-კინგი თანმიმდევრულად გადმოგვცემს არაძალადობის ფილოსოფიას და მის ექვს ძირითად პრინციპს – იმას, რასაც კინგის კანცელცია ჰქვია.

არაძალადობის ფილოსოფიის ექვსი უმთავრესი პრინციპი:

1. არაძალადობის პოლიტიკა – ეს არ არის მხდალთა გზა, ეს წინააღმდეგობაა. თუკი ვინმე იყენებს ამ მეთოდს იმისათვის, რომ ეშინია, ან არა აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალადობა, მაშინ ის არ იცავს ჭეშმარიტი არაძალადობის პრინციპს. განდის შემთხვევით არ უთქამს, რომ თუკი სიმხდალე ძალადობის ერთადერთი ალტერნატივაა, მაშინ უმჯობესია იჩხუბო. მაგრამ როდესაც განდი ამ სიტყვებს ამბობდა, მას კარ-

გად ესმოდა, რომ არსებობს სხვა ალტერნატივაც: არცერთმა ადამიანმა ან ადამიანთა ჯგუფმა არ უნდა იმოქმედოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ, კეთილი საქმისათვისაც კი არ უნდა მიმართოს ძალადობას, რამეთუ ყოველთვის არსებობს სხვა გზა – გზა არაძალადობისა.

სინამდვილეში ეს ძლიერ ადამიანთა გზაა და სულაც არ ნიშნავს უმოქმედობასა და პასიურობას. ფრაზას “პასიური დაუმორჩილებლობა” ხშირად არასწორად იგებენ, ხედავენ რა მასში “სრულ უმოქმედობას”, როდესაც ადამიანი უხმოდ და უდრდტენველად ეგუება ბოროტებას. მაგრამ ასეთი მტკიცება საოცრად შორსაა სინამდვილისაგან. არაძალადობრივი წინააღმდეგობის მომხრე პასიურია მხოლოდ იმ გაგებით, რომ იგი არ იყენებს ფიზიკურ ძალადობას მოწინააღმდეგის მიმართ, მაგრამ მისი გონება და ემოცია აქტიურია, რადგან ის გამუდმებით ცდილობს დაარწმუნოს მოწინააღმდეგე, რომ ის არასწორია. და თუკი ამ მეთოდში არ არის ფიზიური აქტივობა, სამაგიეროდ არსებობს უზარმაზარი სულიერი აქტივობა. არა პასიური შეუწინააღმდეგებლობა ბოროტების წინააღმდეგ, არამედ აქტიური, მაგრამ არაძალადობრივი წინააღმდეგობა ბოროტებისადმი.

2. არაძალადობრივი პოლიტიკისათვის დამახასიათებელია მოწინააღმდეგე მხარის მიმართ დამცირების არარსებობა. მისი მიზანი მდგომარეობს არა მოწინააღმდეგის განადგურებაში, არამედ – მოიპოვოს მისი გაგება და პატივისცემა. ამ პოლიტიკის მომხრენი თავიანთ პროტესტს გამოხატავენ ბოიკოტითა და თანამშრომლობის უარყოფით, მაგრამ ეს არ არის თვითმიზანი, მსგავსი საქციელით მათ სურთ მოწინააღმდეგები გააღვიძონ სირცხვილისა და საკუთარი ქმედებების უსამართლობის შეგრძნება. არაძალადობის საბოლოო მიზანია ღირსეული საზოგადოების შექმნა, მაშინ როდესაც ძალადობას მხოლოდ უბედურებისა და ტრაგედიის შექმნის უნარი შესწევს.

3. არაძალადობის მესამე დამახასიათებელი თვისებაა, რომ მისი ქმედება მიმართულია საერთოდ ბოროტების და არა კონკრეტული

ადამიანების წინააღმდეგ. თუკი არაძალადობის მომხრე იბრძვის რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ, ის ხედავს, რომ პრობლემის არსი მდგომარეობს არა რასობრივ განსხვავებებში. მე მსურს ვუთხრა მონტგომერის ხალახს (ქალაქ მონტგომერში მოხდა შავკანიანთა პირველი დიდი გაფიცვა – დ.ლ.): “საფუძველი ამ კონფლიქტისა მდგომარეობს არა სხვადასხვა ფერის კანიანი ხალხის შეჯახებაში. კონფლიქტის ფესვები უფრო ღრმაა, ეს არის ბრძოლა სამართლიანობისა უსამართლობასთან, ნათელი ძალების ბრძოლა ბოროტებასთან. და თუკი თქვენ შესძლებთ გამარჯვების მოპოვებას, მაშინ ეს იქნება არა მხოლოდ 50 ათასი შავკანიანის გამარჯვება, არამედ – სამართლიანობისა და კანონიერებისაც. ჩვენი მიზანია უსამართლობის მოსპობა და არა იმ თეთრკანიათა, რომელნიც აღმოჩნდნენ მისი მიმდევარნი.

4. ერთხელ მაჰათმა განდიმ ასეთი რამ უთხრა თანამემამულებს: ”შესაძლოა ზღვა სისხლი დაიღვაროს მანამ, სანამ ჩვენ გავიმარჯვებთ, მაგრამ ეს ჩვენი სისხლი უნდა იყოს”. არაძალადობრივი წინააღმდეგობის მომხრე იღებს ძალადობას, თუკი შეიქმნა ასეთი მდგომარეობა, მაგრამ თავად არასდროს იყენებს მას. ის არ



გაურბის ტკივილსა თუ ტანჯვას.

განდი წერდა: “ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ადამიანის ცხოვრებაში მიიღწევა არა მხოლოდ საღი აზროვნებით, არამედ გამოისყიდება ტკივილისა და ტანჯვის საფასურად,” და კიდევ: “ტანჯვა გაცილებით ღირსეული საშუალებაა, ვიდრე ჯუნგლების კანონი, იმისათვის რომ შეცვალო მოწინააღმდეგე, აიძულო მას ყური მიუგდოს ჯანსაღ აზრს”.

5. არაძალადობის მეხუთე პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ იგი, როგორც უკვე მოგეხსენებათ, გამორიცხავს ნებისმიერ ფიზიკურ ძალადობას და აგრეთვე შინაგან ძალადობას ადამიანის სულზე. არაძალადობის მომხრე უარს ამბობს არა მხოლოდ იმაზე, რომ მოკლას თავისი მოწინააღმდეგე, არამედ იმაზეც, რომ სმულდეს მოწინააღმდეგე. ამ პოლიტიკის ქვაკუთხედი ხომ სიყვარულია.

ადამიანური ღირსების მებრძოლთა გულებში არ უნდა იყოს ადგილი სიძულვილისათვის. რომელიმე მხასრეს უნდა ეყოს სიბრძნე და ზნეობა, რათა გაირღვეს სიძულვილის ჯაჭვი. ეს შესაძლებელია, თუკი ჩვენს მთავარ მამორაკებელ ძალად სიყვარული იქცევა.

ვსაუბრობთ რა სიყვარულზე, ჩვენ არ ვგულისხმობთ სენტიმეტალურ და ფაქიზ გრძნობაზე. არასერიოზული იქნებოდა ჩაგრულებისაგან მოგვეთხოვა მჩაგვრელთა სიყვარული. აქ საუბარია სხვა ტიპის სიყვარულზე – უანგარო ყოვლისმომცველ სიყვარულზე, რომელსაც ბერძნულ ენაში “აგაპე”-ს უწოდებენ. ეს იმ სახის სიყვარულია, როდესაც



ყოფს ადამიანებს ცუდებად და კარგებად, მისთვის მნიშვნელოვანი არ არის ადამიანის პირადი თვისებები. ეს არის ადამიანის სიყვარულის უმაღლესი გამოვლინება, როდესაც თითოეული მათგანი ჩვენი “მმაა”. აქედან გამომდინარე, “აგაპე” არ ყოფს ადამიანებს მეგობრებად და მტრებად: იგი ყველას მოიცავს. –

აგაპე არამც და არამც არ არის უმოქმედო სიყვარული. იგი ქმედითა. “აგაპე” ნიშნავს სიყვარულს, რომელიც მოიცავს და სრულქმნის ადამიანთა ერთობას, იგი მრავლისგამლებია იმისათვის, რათა შეინარჩუნოს ეს ერთობა. სიყვარული, რომელიც მზადაა მიუტევოს არა მხოლოდ შვიდგზის, არამედ სამოცდაათგზის. . . რათა შეინარჩუნოს ადამიანთა ერთობა.

ვპასუხობ რა ძალადობას ძალადობით მევანგრევ საკუთარ პიროვნებას, ადამიანი ხომ მხოლოდ საზოგადოებაში ყალიბდება პიროვნებად. ცამდე მართალი იყო ბრუკერ ტ. ვაშინგტონი, როდესაც წერდა: ”ნურავის მისცემთ იმის უფლებას, რომ სიძულვილამდე დაგამდაბლოთ.” გმულთ რა ადამიანი, თქვენ საზოგადოების წინააღმდეგ მოქმედებთ და ამით ანგრევთ საკუთარ პიროვნებას.

და კიდევ, “აგაპე” არის აღიარება, რომ ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია. ჩვენ ყველანი მონაწილენი ვართ ერთი ისტორიული პროცესისა და ჩვენ ყველანი მმანი ვართ.

. . . და ვჩავდივართ რა ბოროტს სხვა ადამიანის მიმართ, ამით საკუთარ თავს ვწებთ.

6. არაძალადობის მექქსე პრინციპი დაფუძნებულია რწმენაზე იმისა, რომ მსოფლიო წესრიგი სამართლიანობის მხარესაა. აქედან გამომდინარეობს ჩვენი რწმენა

ადამიანი სჩადის სიკეთეს არა თავისდა საკეთილდღეოდ, არამედ სხვათათვის. “აგაპე” არ

როგორი მიმდევარი არ არის აღიარება, რომ მსოფლიო წესრიგი სამართლიანობის მხარესაა. აქედან გამომდინარეობს ჩვენი რწმენა

უკეთესი მომავლისადმი. სწორედ ეს გვეხმარება უდრტვინველად მივიღოთ ტანჯვა და არ ვიფიქროთ სამაგიეროს გადახდაზე. გვჯერა, რომ არა ვართ მარტონი ამ სამართლიან ბრძოლაში, მთელი პროგრესული მსოფლიო ჩვენს მხარესაა.

ასეთია ექვსი ძირითადი პრინციპი

არაბალადობის ფილოსოფიისა. მაგრამ მარტინ ლუთერ-კინგი გარდა თეორეტიკოსისა იყო დიდი პრაქტიკოსიც, ლიდერი, რომელსაც ხალხი გაჰყვა. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე შემდეგ წერილშიც ვისაუბრებთ.

უურნალისტის პროფესიონალური ეთიკა

მანანა დარჯანია

“უურნალისტის პროფესიონალური ეთიკა და პასუხისმგებლობა” – ასეთი სახელწოდებით 17-20 ივნისს ქალაქ ბათუმში მიმდინარეობდა თანამეგობრობის ქვეყნების უურნალისტთა საერთაშორისო შეხვედრა-სემინარი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის ფედერაციის, ესტონეთის, ლიტვის, ბელორუსის, ყაზახეთის და სხვა რესპუბლიკების უურნალისტთა კავშირების და შემოქმედებითი გაერთიანებების, სახელმწიფო და კერძო საანფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები. სემინარში ასევე მონაწილეობდნენ უურნალისტები აფხაზეთიდან, ცხინვალის რეგიონიდან, ყარაბახიდან.

ამ ღონისძიების ჩატარება შესაძლებელი გახდა ევროპული დემოკრატიული ინიციატივის პროგრამების ჩარჩოებში რომელიც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის სამოქალაქო საზოგადოებების მშენებლობის დახმარებაში გამოიხატება. პროგრამის ერთ-ერთი პროექტი სახელწოდებით “გარდამავალი პერიოდის საინფორმაციო საშუალებები” ითვალისწინებს ექვს რეგიონალურ სემინარს სამხრეთ კავკასიის უურნალისტებისათვის. ეს შეხვედრები არა მარტო საერთო პროფესიონალური პრობლემების განხილვას, არამედ უურნალისტებს შორის ეფექტური თანამშრომლობის დამყარებასაც

ითვალისწინებს. პროექტი ორწლიანია და მას ქალაქ ერევნის “პრეს-კლუბი” ახორციელებს. ბათუმის სემინარის თანაორგანიზატორები იყვნენ: თანამეგობრობის ქვეყნების უურნალისტთა კავშირების საერთაშორისო კონფედერაცია (მოსკოვი), საინფორმაციო სააგენტო “ბლექ სიპრეს”-ი, (თბილისი), საინფორმაციო სააგენტო “აღორძინება” (ბათუმი).

მუშაობა, უურნალისტთა ინტერესებიდან და თემატიკის აქტუალურობიდან გამომდინარე, შესატყვის სექციებში მიმდინარეობდა. დღის წესრიგში იდგა უურნალისტური ეთიკის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: “თვითცენზურა, თუ უსაფრთხოების ტექნიკა?”, “იმპერიული ცნობიერება და ქსენოფობია პოსტსაბჭოურ უურნალისტიკაში”; “უურნალისტთა კორპორაციული ინტერესები და საზოგადოებების ინტერესები: “ურთიერთდაპირისპირება თუ ჰარმონია?”, “უურნალისტები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტში”; “ყარაბახის საკითხი კონფლიქტში”; “ყარაბახის საინფორმაციო საშუალებებში”; “ტოტემი” და “ტაბუ” აზერბაიჯანისა და საქართველოს პოლიტიკურ უურნალისტიკაში”; “უურნალისტების მიერ მეზობელი ქვეყნების ცხოვრების აქტიური შესწავლის ფორმები”; და სხვა.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კვლევის საერთაშორისო ცენტრის განსაკუთრებული ინტერესების სფეროს ქართველი და აფხაზი, ქართველი და ოსი, აგრეთვე სომები და აზერბაიჯანელი უურნალისტების სექციის მუშაობა წარმოადგენდა.

ცხადია, მას-მედიას, რომელსაც ნებით თუ უნებლიერ ნებისმიერ ეთნოკონფლიქტში საინფორმაციო ომის გაჩაღება ბრალდება, “შშვიდობის მტრედად” ადვილად ვერ გადიქცევა. ამიტომაც კონფლიქტის მხარეების უურნალისტთა შეხვედრები გაცილებით რთული და ჯერჯერობით ნაკლებად შედეგის მომტანია, ვიდრე სახალხო დიპლომატიის ეგიდით მიმდინარე შეხვედრები, რომლის მეოქებით ადამიანები უშუალო, არა-პოლიტიზირებული ურთიერთობების დამყარებას ახერხებენ, რასაც სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით უურნალისტებზე. ასეთ შეხვედრებზე მას-მედიას წარმომადგენლები არა საკუთარი, არამედ თავისი ხელისუფლების და საზოგადოებაში გაბატონებული უმრავლესობის შეხედულებებიდან გამომდინარე ცდილობენ დიალოგის წარმართვას. ამ კუთხით ბათუმის შეხვედრაც გაჭრილი ვაშლივით წააგავდა მსგავს უურნალისტურ შეხვედრებს. თუმცა პროგრესიც შეიმჩნეოდა: აგრესიისაგან, ერთურთის დადანაშაულებისაგან უურნალისტები, ისევე როგორც მათი საზოგადოებები, დაიღალნენ. მართალია, პრობლემის განხილვის ახალი ხედვა ჯერ არც მას-მედიას წარმომადგენლებში შეიმჩნევა და დიალოგზე კვლავაც შეუვალი პოზიციები ფიქსირდება, მაგრამ როდესაც ასეთი ქცევის მიზეზი ერთი მხარის მიერ მაინც ცნობიერდება, ერთურთის გაგება გაცილებით ადვილი ხდება: რადიკალიზმისკენ უურნალისტებს ხშირ შემთხვევაში ის გათვითცნობიერებული პატივისცემა, ან პირიქით, შიში უბიძგებთ, რომელიც მათ რადიკალურად განწყობილი თავისივე საზოგადოებების თუ ხელისუფლებების მიმართ აქვთ. ასეთ შემთხვევაში უურნალისტურ კარიერას, იმიჯს საფრთხე არ ემუქრება, მმართველი ძალა მას ნდობას უცხადებს. მისი ნაციონალისტური, შეუვალი “სტილი” საზოგადოებას მოსწონს:

იგი მხოლოდ თავისი საზოგადოების დანაკარგზე, ტკივილსა და წყენაზეა ფოკუსირებული. რადგან უურნალისტური ეთიკის მთავარი პრინციპი: “ვიყო მიუკერძოებელი, მოვისმინო და გავიგო მეორე მხარის პრეტენზიები თუ ტკივილები,” საზოგადოებისთვის მიუღებელია, მას გვერდს უვლის უურნალისტიც. ფაქტია ისიც, რომ რიგი უურნალისტებისათვის, რომელთა ჩამოყალიბება ეთნიკური კონფლიქტების პერიოდში, ნაციონალისტურ ნიადაგზე მოხდა, ეთიკის საკითხები საერთოდ უცხოა და დღემდე მიუღებელი. სემინარი “უურნალისტის პროფესიული ეთიკა და პასუხისმგებლობა” სწორედ ამ პროფესიული გაუცხოების ვაკუუმის შევსებას ისახავდა მიზნად. ცხადია, ეს ხანგრძლივი პროცესია და იგი არა მხოლოდ უურნალისტიკის, არამედ საზოგადოების დემოკრატიული განვითარების შედეგად მიიღწევა. რაც უფრო თავისუფალია საზოგადოება, უურნლისტს მით უფრო მეტი შემოქმედებითი თავისუფლება აქვს. ქართველმა უურნალისტებმა სემინარზე არაერთხელ აღნიშნეს კონფლიქტის რეგიონში ჩასვლის და აფხაზ კოლეგებთან პროფესიული თანამშრომლობის დამყარების სურვილი. აფხაზები ქართველი კოლეგების აქტიურობას ენთუზიაზმით ვერ შეხვდნენ. მიზეზი, თუმცა იგი არავის დასახელებია, ცხადია: დღევანდელი პოსტკონფლიქტური, დახურული აფხაზური საზოგადოება და მის სამსახურში მყოფი უურნალისტები მხოლოდ თავისი ხელისუფლების ნებართვაზე არიან დამოკიდებულნი. თუმცა მკაცრი სამთავრობო კურსის მიმდევარი აფხაზური, ოსური მას-მედია ასევე ეჭვის ქვეშ აყენებს ქართველი უურნალისტების და შესაბამისად ქართული პრესის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას განსაკუთრებით კონფლიქტის თემის გაშუქების მიმართ. უნდა ითქვას, რომ ქართველი უურნალისტები ამ კრიტიკას არ გაუღიზიანებია. ვერ ვიტყვით რომ კრიტიკა ცალსახად უსამართლოა: ქართული პრესასაც ხომ ზოგიერთ შემთხვევაში პროფესიონალიზმისა და ეთიკის საკითხების მიმართ მართლაც სრულ გაუცხოებას ამჟღავნებს. ბათუმის სემინარმა

აჩვენა, რომ უურნალისტებს შორის უნდობლობის ფაქტორის არსებობის მიუხედავად, თანამშრომლობა აუცილებელია. თუმცა ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ სანამ ეს თანამშრომლობა პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის რეალურ დატვირთვას მიიღებს, უურნალისტებს

უამრავი წყალქვეშა და წყალზედა რიფების არიდება მოგვიწევს. რადგან საკმაო გამოცდილების მქონე ომის პარტია, ქვეყნის შიდა თუ გარე მტრები, საზოგადოების კორუმპირებული ნაწილი ოსტატური მანიპულირებით კვლავ ეცდება, უურნალისტების უნებლივ, თუ ნებით გამოყენებას.

პეტერბურგის

კონფერენცია

4-6 ივნისს ქ. პეტერბურგში მიმდინარეობდა კონფლიქტოლოგ-მედიატორთა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე “კონფლიქტების გადაწყვეტის პრაქტიკა.” კონფერენციის ორგანიზატორი იყო პეტერბურგის საზოგადოებრივი ორგანიზაცია “კონფლიქტების გადაწყვეტის ცენტრი.” ეს ორგანიზაცია დაარსდა 1993 წელს რეგიონთაშორისი საზოგადოებრივი მოძრაობა “კონფლიქტოლოგიური ფორუმი”-სა და რუსეთ-ამერიკული კონფლიქტოლოგიის პროგრამის ძალისხმევით. რუსეთის დღევანდელ სინამდვილეში ეს არის ამ მიმართულების ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს არსებული კონფლიქტისა თუ დავის გადაწყვეტაზე სასამართლოს გვერდის ავლით. ცენტრის მთავარი მიზანია კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირების პრაქტიკაში პროგრესული მეთოდების – მედიაციის (შუამავლობის) დანერგვით კონფლიქტების გადაჭრისადმი ახალი მიდგომებისა და ტექნოლოგიების განვითარება.

საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ წარმომადგენლები დსთ-ს, ასევე პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ბალტიისპირუთის ქვეყნებიდან. საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კალების საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლები ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები გაგა ნიჟარაძე და რუსუდან მშვიდობაძე. კონფერენციის მონაწილენი გაეცნენ სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკულ გამოცდილებებს კონფლიქტების დარეგულირებაში, ასევე – პეტერბურგის ცენტრის გამოც-

დილებებს, მათ მიერ მედიაციის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს, მედიატორსპეციალისტთა მომზადების პეტერბურგის სკოლის მუშაობის მეთოდებსა და ტექნოლოგიებს.

გაიმართა საჩვენებელი მედიაციაც. ერთ-ერთი სხდომა მიეძღვნა ისეთ აქტუალურ თემას, როგორიცაა “საზოგადოების დიდ ჯგუფებს შორის (ეთნიკური, კონფესიონალური, ეკოლოგიური) კონფლიქტების დარეგულირების მეთოდები.” თემის გარშემო მოსმენილ იქნა მოხსენებები: “ეთნიკური კონფლიქტების ბუნება ყორიმში” – ოლეგ გაბრიელიანი (უკრაინა); სახალხო დიპლომატიის გამოცდილება ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენის გზაზე” – რუსუდან მშვიდობაძე (საქართველო); “ყარაბახის კონფლიქტის დარეგულირებაში შუამავლური გაკვეთილების გამოცდილება 1992-93 წლებში.” – მანველ სარქისიანი (სომხეთი); “საერთაშორისო ორგანიზაციები და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები კავკასიაში” – მიქაელ სარქისიანი (სომხეთი); ”საერთაშორისო ორგანიზაციების, ეუთო-ს და მინსკის ჯგუფის, საშუალებრივი როლი.” – გიულშენ ფაშაევა (აზერბაიჯანი); “ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების ზოგიერთი პრაქტიკული მიდგომები (ყოფილი იუგოსლავის მაგალითზე) – ბორის პოდოპრივოდა (რუსეთი).

ასევე განხილულ იქნა პიროვნებათშორისი კონფლიქტების დარეგულირების საკითხები. როგორც გაგა ნიჟარაძე აღნიშნავს, ეს იყო ძალზე საინტერესო სამუშაო შეხვედრა, კონფლიქტების დარეგულირების სფეროში მომუშავე ადამიანები-

სათვის. პეტერბურგის სკოლის მუშაობის გამოცდილების მიღება და გამოყენება პოსტსაბჭოური ქვეყნების დღევანდელობაში ერთობ საჭირო და აქტუალურია.

პეტერბურგის კონფლიქტის გადაწყვეტაზე მომუშავე მედიატორების ძირითადი მიზანია არა საქმის გარჩევა, არამედ კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიმართვა იქეთკენ, რომ თავად ისინი მივიღნენ გადაწყვეტილებამდე. ეს არის რთული, უამრავი ფორმალური ნიუანსების მომცველი, მაგრამ ამავ დროს სრულიად აუცილებელი პროცესი იმისათვის, რომ მხარეები მივიღნენ საბოლოო ან შუალედურ გადაწყვეტილებებამდე.

მოქმედებს შორის საბოლოო, ან თუნდაც შუალედური გადაწყვეტილებები ნოტარიალურად ფორმდება. ცენტრს მიმართავენ არა მხოლოდ პიროვნულ, ყოფით კონფლიქტში მყოფი ინდივიდები, არამედ ფირმები, დაწესებულებები. ცენტრის მომსახურეობა გაცილებით იაფია, ვიდრე ადვოკატურა, სასამართლო და სხვა. როგორც

პრაქტიკამ აჩვენა, ბევრი ქვეყნის კანონმდებლობაში ეს ინსტიტუცია იურიდიულად არსებობს, ამიტომაც სასამართლოს აქვს უფლება, რომ დავის გადასაწყვეტად საქმეები ასეთ სამსახურებს გადასცეს.

თავად მედიაციის პროცესი მოდავებს შორის შეიძლება თვეებიც კი გაგრძელდეს, მაგრამ ეს გაცილებით საინტერესო, სასარგებლო პროცედურაა მისი მონაწილეებისათვის, ვიდრე სასამართლო. პეტერბურგის მედიაციის სკოლის მიერ გაცემული სერტიფიკატი საერთაშორისოა. სერტიფიცირების პროცედურა კი უმკაცრესია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მედიატორის ფუნქცია ერთობ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლობა.

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ მედიაციის ასეთი სამსახურების ქართულ სინამდვილეში შემოღება, და მათი ეფექტური მუშაობა არც თუ ისე შორეული რეალობაა.

პროცესუალური მუშაობა

ზაფხულის ცხელ დღეებში კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს: ტრენინგ-სემინარები, როგორც ადგილზე, ასევე რეგიონებში კვლავ გრძელდება.

საქართველოში კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამა საშუალებას გვაძლევს ფართოდ მოვიცვათ საზოგადოების ის ნაწილი, რომელთაც დევნილები ჰქვია. ბუნებრივია მათ შორის გარკვეულ ნაწილს შეადგენენ ადამიანები, რომლებიც უშუალოდ დებულობდნენ მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში. არა მგონია ორიგინალური ვიყოთ თუ ვიტყვით, რომ ეს ადამიანებიც მეტ-ნაკლებად სამშვიდობო

მენტალიტეტის მატარებელი არიან. იარაღის ხელში აღება მათ გამოუვალმა მდგომარეობამ აიძულა. კაცობრიობის ომების გამოცდილებამ აჩვენა, რომ მშვიდობის ფასი ყველაზე მეტად სწორედ მეომრებმა იციან.

14-18 ივნისს ჩვენს ცენტრში ჩატარდა ტრენინგ-სემინარი, რომლის მონაწილენიც აფხაზები სამშობლოს, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავდნენ. ომით გამოწვეული სტრესის დაძლევა მებრძოლთათვის გაცილებით რთულია, ვიდრე მშვიდობიანი მოსახლეობისათვის, ამიტომაც ტრენინგი სპეციფიურობით გამოირჩეოდა.

თავიდანვე დავსძენთ, დამარცხებული

ჯარისკაცის ე.წ. ვიუტნამის სინდრომი ყოფილ მეომრებში არ დომინირებდა. ამან, თავის მხრივ გაცილებით მეტი საშუალება მისცა მონაწილეებს აქტიურედ მიეღოთ მიწოდებული მასალა და



მისი თავისებური ინტერპრეტაციაც მოეხდინათ. ჯგუფმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა მოლაპარაკებების წარმოების ტექნიკისა და პრობლემაზე ერთობლივი მუშაობის სწავლების მეთოდებისადმი. ადამიანებიმა რომელთაც ომის უმძიმესი გამოცდილება იწვნიეს, სწავლების შეთავაზებული მეთოდი პრაქტიკაში რეალურად გამოსაყენებლად მიიჩნიეს.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ამა წლის 17-23 მაისს ქალაქ ნალჩიკში ჩატარდა კავკასიის ექს-კომბატანტთა (ყოფილ მეომართა) პირველი შეხვედრა¹, სადაც ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ ქართველი, აფხაზი, ოსი, ჩეჩენი, სომეხი, აზერბაჯანელი, რუსი, ინგუში, ყაბარდოელი და ბალყარელი ყოფილი მეომრები. ამ შეხვედრაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელშიც ექს-კომბატანტები მშვიდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისაკენ მოუწოდებენ კავკასიის ხალხებს.

გთავაზობთ ქართველი მონაწილეების შეხედულებებს:

გურამ კვარაცხელია: ხშირად მიფიქრია იმის თაობაზე თუ როგორ შევხვდებოდი ენგურს-გალმა დღეს მცხოვრებ აფხაზებს. რამდენიმე წლის წინ ალბათ ასეთ კონტაქტზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგრამ დღეს უკვე

გადალაზული მაქვს ეს ბარიერი. როდესაც შეხვედრაზე მივემგზავრებოდი, პირველ რიგში მაინტერესებდა თუ რა მოუტანა ამ ომმა აფხაზურ მხარეს, შესაძლებელია თუ არა ჩემი და ჩემისთანა ომგამოვლილების დაბრუნება აფხაზეთში მშვიდობიანი გზით. შეხვედრის შედეგად მე დავინახე, რომ სინანულის გრძნობა მომხდარის გამო ორივე მხარეში დომინირებს და ჩვენს ცნობიერებაში ომი ყველაზე საშინელი მოგონებაა.

ავთო კვარაცხელია: რასაკვირველია ყოფილი მეომრების შეხვედრა, მით უმეტეს პირველი, არცერთი მხარისათვის ადგილი არ იყო. მიუხედავად ამისა ჩვენ შევძლით გამოგვენასა საერთო და მშვიდობის ენაზე გვესაუბრა ერთმანეთთან.

მალხაზ ჩემია: ჩვენი კეთილი ნება, რომელიც დეკლარაციაში დავაფიქსირეთ, ალბათ არ არის საკმარისი, იმისათვის, რომ ომი და სისხლისლვრა კავკასიაში ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს. მაგრამ ომსაც თავისი ცივილური წესები აქვს, მათი განხორციელება, გამომდინარე



ჩვენი კავკასიური მენტალიტეტიდან თითოეული ჩვენთაგანის ლირსების საქმეა.

22-25 ივნისს ქალაქ გორში ჩატარებული ტრენინგ-სემინარის მონაწილეთა კონტიგენტი ოსეთიდან დევნილი მოქალაქეები იყვნენ. ტრენინგი მიმდინარეობდა ქ. გორის ტურისტულ ბაზაზე სადაც კომპაქტურად არიან დასახლე-

¹ შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცნობრი (თბილისი), საერთაშორისო ბრიტანული ორგნიზაცია “International Alert”-ი და ფონდი “სამოქალაქო ინიციატივა – მომავლის ადამიანი” (სოხუმი).



ბული დევნილები. ის საქმიანობა, რომელსაც ნორვეგის ლტოლვილთა საბჭო ახორციელებს საქართველოში, ტრენინგის მონაწილეთათვის მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო. რადგან მათ უკვე მიღებული აქვთ გარკვეული გამოცდილება ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის მეოხებით, რომელსაც ჩვენი პარტნიორი ორგანიზაცია ატარებს დევნილ მოსახლეობასთან. ტრენინგის დასწყისში დევნილებს ჩვენი პროგრამისგანც იგივე მოლოდინი ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სულ სხვა ფორმისა და ტიპის მუშაობა ჩავატარეთ მათთან, საბოლოოდ მონაწილენი კმაყოფილი დარჩნენ და აღნიშნეს, რომ ამგვარი ცოდნა აუცილებელია ყოველი ადამიანისათვის. უკუკავშირის დროს კი ასეთმა ფრაზამ გაიქცერა: “თქვენ უანგაროდ გასცემთ სიკეთეს”. ასეთი სიტყვები ყველაზე დიდი ჯილდოა ფასილიტატორებისათვის.

ტრენინგი ააშკარავებს და აძლიერებს ხოლმე არა მხოლოდ ჯგუფის, არამედ, მთლიანად საზოგადოებაში კონფლიქტების მოგვარების მზადყოფნის გარკვეულ დონესაც. ამ მხრივაც საინტერესო აღმოჩნდა გორში ჩატარებული ტრენინგი და მისი შედეგები. მონაწილეებმა ქართულ-ოსურ ერთობლივ ტრენინგში მონაწილეობის და ოსურ მხარესთან გულახდილი დიალოგის გამართვის სურვილი გამოთქვეს. ვფიქრობთ ეს ფაქტი კომენტარს არ საჭიროებს.

ასევე გამოითქვა სურვილი მსგავსი ტრენინგი ჩატარებულიყო ამ ქალაქში არსებულ სხვა კომპაქტურად დასახლებულ ცენტრშიც.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების

საერთაშორისო კვლევით ცენტრს დაგევმილი აქვს ქ. გორში კიდევ ერთი ტრენინგის ჩატარება.

* * *

19-23 ივლისს კი ტრენინგსემინარი ჩატარდა ქალაქ ზუგდიდში. ცნობილია, რომ სამეგრელოს ეს რეგიონი ყველაზე მძაფრად აირეკლავს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის პრობლემების მთელ სპექტრს. აქ 70 ათასამდე



ჭ. წევრი - ქართველებსა და აფხაზებს შორის ხელოვნური წყალგამყოფი. ასეთია დღევანდელი რეალობა

დევნილი ცხოვრობს, რომელთა საბინაო პრობლემები კვლავაც უმწვავესია. დევნილთათვის გამოყოფილი 57 კომპაქტური ცენტრი მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს. გალიდან ხელმეორედ დევნილთა ნაკადმა ადამიანთა ახალი მსხვერპლი და შესაბამისად ახალი ფსიქოლოგიური თუ სოციალური პრობლემები მოიტანა. ცხადია, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კვლევის საერთაშორისო ცენტრის ყურადღება ამ რეგიონისადმი განსაკუთრებულია.

ტრენინგი პარალელურად ორ ჯგუფში მიმდინარეობდა. ერთ ჯგუფში მონაწილეობდნენ როგორც აფხაზეთის, ასევე ქ. ზუგდიდის არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები, სულ 30 ადამიანი. თუ კი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქ. ზუგდიდსა და ახლომდებარე რაიონებში 55 არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს, არ უნდა გაგვიკვირდეს ისიც, რომ ტრენინგზე დასწრების მსურველთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. მეორე ჯგუფის მონაწილენი მხოლოდ გალის რაიონის დევნილები იყვნენ (27

ადამიანი). აქვე გვინდა მაღლიერებით მოვიხსენიოთ ქ. ზუგდიდის არასამთავრობო ორქანიზაცია “ათინათი”, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია ჯგუფების დაკოპლექტებასა და ტრენინგ-სემინარის ორგანიზაციული საკითხების წარმატებით გადაჭრაში.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომელთაც მათი თქმით არაერთხელ ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა შეგავსტრენინგებში, დასაწყისისში გარკვეული სკეტიციზმი გამოამჟღავნეს იმასთან დაკავშირებით,



რომ ის ცოდნა და ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ მივაწვდიდთ, ნაკლებად გამოადგებოდათ საქმიანობაში. მაგრამ მოდით, მოვლენებს მივყვეთ.

ტრენინგის მსვლელობისას მონაწილენი მობილიზებულნი და აქტიურნი აღმოჩნდნენ. ისინი თითოეულ საკითხს ღრმად და საფუძვლიანად ამუშავებდნენ, ცდილობდნენ არ გამოჰქონდათ არცერთი დეტალი და შემდგომ გაეანალიზებინათ ყოველივე. სასიამოქნია, რომ მე-2 დღიდან მონაწილეთა უმრავლესობას შეეცვალა შეხედულება ტრენინგის მიმართ. ბოლო დღეს კი ეს სწავლება კომპანის შეადარეს, “რომელსაც ჯუნგლებში მგზავრობისას წაიღებდნენ თან.” აგრეთვე, გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიეღოთ ჩვენს მიერ სხვადასხვა საკითხებზე, კერძოდ, კი კომუნიკაციის, პრობლემების გადაწყვეტისა და გადაწყვეტილების მიღებაზე ჩატარებულ ტრენინგ-სემინარებში. დაიგეგმა შემდგომი თანამშრომლობაც.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, დასაწყისშივე გამოიკვეთა სურვილი ესაუბრათ და განეხილათ აფხაზეთის კონფლიქტი. შეთავაზებული თემები დაუყვანათ მხოლოდ ამ საკითხამდე. შენიშნეს რა ეს ტენდენცია, ფასილიტატორებმა განმარტეს, რომ ტრენინგის დანიშნულება არა მხოლოდ პოლიტიკური კონფლიქტების განხილვაა, არამედ ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციების მართვა და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებაა, რომელიც ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარებაში დაეხმარებათ. მონაწილენი თანდათან ჩაერთვნენ როლურ თამაშებში და სავარჯიშოებში, დაინახეს, რომ კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის ტექნიკა, რომელიც ჩვენ მივაწოდეთ, გამოადგებათ ყოველდღიური კონფლიქტების დეესკალაციასა და მართვაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტრენინგი წარმატებული იყო.



შეგიძლიათ თუ არა მოსმენა

იმისათვის, რომ განსაზღვროთ შეგიძლიათ თუ არა
მოსმენა, გაეცით პასუხი შემდეგ ათ კითხვას.

1. ცდილობთ თუ არა დაასრულოთ საუბარი, როდესაც თემა
ან თვითონ მოსაუბრე არ არის თქვენთვის საინტერესო?
2. შეიძლება თუ არა უადგილო გამონათქვამბა გამოგიყვა-
ნოთ მდგომარეობიდან და გიბიძგოთ უხეშობისაკენ?
3. ადვილად ღიზიანდებით თუ არა მოსაუბრის უხეშ მა-
ნერებზე?
4. ცდილობთ თუ არა აიცილოთ საუბარი უცნობ ან ნაკ-
ლებად ცნობილ ადამიანებთან მაშინაც კი, როდესაც ის ის-
წრაფვის ამისკენ?
5. გაქვთ თუ არა ჩვევა შეაწყვეტინოთ თანამოსაუბრეს საუ-
ბარი?
6. შეგიძლიათ თავის მოჩვენება თითქოს ყურადღებით უს-
მენთ და ამავე დროს სხვა რამეზე იფიქროთ?
7. იცვლება თუ არა თქვენი ხმა, სახის გამომეტყველება და
ლექსიკა იმის მიხედვით თუ ვის ესაუბრებით?
8. ცვლით თუ არა საუბრის თემას, როდესაც თანამოსაუბრე
ეხება თქვენთვის უხერხულ საკითხს?
9. უსწორებთ თუ არა თანამოსაუბრეს საუბრის დროს სი-
ტყვებს, დასახელებებს, ტერმინებს, ვულგარიზმებს?
10. შეიძლება თუ არა გქონდეთ ქედმაღლური, მენტორული,
ზოგჯერ ირონიული ტონი ურთიერთობის დროს?

პასუხები შეაფასეთ შემდეგნაირად:

“თითქმის ყოველთვის”	—	2 ქულა
“უმეტეს შემთხვევაში”	—	4 ქულა
“ხანდახან”	—	6 ქულა
“იშვიათად”	—	8 ქულა
“თითქმის არასდროს”	—	10 ქულა

რაც უფრო მეტ ქულას დააგროვებთ, მით უფრო “ნიჭიერი”
მსმენელი ბრძანდებით.

პროგრამაში მუშაობენ:

გილიგი ხუციშვილი - პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

გაგა ნიშარაძე - ფიქტუროგის მეცნიერებათა კანდიდატი, ფიქტუროგიური მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი

დალი ბერებავალი - ფიქტუროგის მეცნიერებათა კანდიდატი, ფიქტუროგიური მონიტორინგის ჯგუფის წევრი

რუსულან მუგილობაძე - ფიქტუროგის მეცნიერებათა კანდიდატი, ფიქტუროგიური მონიტორინგის ჯგუფის წევრი

თინა ასათიანი - სოციალური ფიქტუროგი, ფასილიტატორი, ფასილიტატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

გაია რაჭმაძე - სოციალური ფიქტუროგი, ფასილიტატორი.

ლია (ხათუნა) სანიპირო - სოციალური ფიქტუროგი, ფასილიტატორი

მანანა დარჯანიძე - სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი, უკრნალისტი

დეა დადუა - რედაქტორი, ფილოლოგი

არჩილ ხიდეშვილი - კომპიუტერული უზრუნველყოფა